ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



ახორციელებს სრულფასოვან დამოუკიდებელ საექსპერტო მომსახურებას:

- ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა; სასაქონლო ექსპერტიზა;
- ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- საინჟინრო ექსპერტიზა;
- ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ჰისტოლოგიური ექსპერტიზა;
- ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური)
- ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- კომპიუტერული ექსპერტიზა.

ლაბორატორიებში დასაქმებულია გამოცდილი და კვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საექსპერტო კვლევების მაღალ ხარისხს და ბიუროს სახელით სასამართლო პროცესებზე თავად იცავენ გაცემული დასკვნების ჭეშმარიტებას. ბიუროში დანერგილი ხარისხის მართვისა და კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამკვეთების მოთხოვნათა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებას და კიდევ უფრო აძლიერებს ბიუროს ავტორიტეტს მომხმარებელთა შორის.

ექსპერტთა მაღალი პროფესიონალიზმი და ობიექტურობა ჩვენში სიამაყის გრძნობას იწვევს. ჩვენ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნა და დავიმსახუროთ მათი პატივისცემა და ნდობა.

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5005380119

16/08/2019

5005380119

ამხანაგობა „აკურის #27,29,33, ალმასიანის #34, 40,42, 46“--ს თავმჯდომარეს ბატონ შუქრი კაკაურიძეს

(თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 14)

ბატონო შუქრი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2019 წლის 15 აგვისტოს რეგისტრაციის N1007304819) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005794819 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 06 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484

5005380119

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 16.08.2019 (ხელმოწერა) გ.ა



005794819

ექსპერტის დასკვნა № 005794819

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ამხანაგობა „აკურის #27,29,33, ალმასიანის #34, 40,42, 46“-

თანამდებობა: თავმჯდომარე

მისამართი: თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 14

სახელი და გვარი: შუქრი კაკაურიძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 32 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

თქვენს მიერ ქ. თბილისში ბიძინა კვერნაძის ქ. #31-ში (ყოფილი აკურის ქ.) ჩატარებული საექსპერტო დასკვნით #000928014 დაუყოვნებლივ უნდა მოწყობილიყო არსებულ 8 (რვა) სართულიან სასტუმროსა და მეზობლად ბიძინა კვერნაძის ქ. #33-ში (ყოფილი აკურის ქ. #33) მშენებარე მრავალბინიან სახლს (27 სართული) ქვაბულს შორის გამყოფი შპუნტური კედელი. შპუნტური კედლის სანაცვლოდ დღეის მდგომარეობით ჩასხმულია ასაშენებლი სახლის ფუნდამენტი (h=135), ამოყვანილია ორი სართული ავტოსადგომი მონოლითური კედლებით სისქით 50 სმ 500 მარკიანი ბეტონით.

გთხოვთ მოგვცეთ დასკვნა: 1) საჭიროა თუ არა შპუნტური კედლის მოწყობა?

2) შესაძლებელია თუ არა შპუნტების მოწყობა მშენებლობის გაგრძელების პარალელურად?

3) შესაძლებელია თუ არა სხვა ღონისძიებების გატარება.

შემოსვლის თარიღი: 15/08/2019 წ

გასვლის თარიღი: 16/08/2019 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ბ. კვერნაძის ქ. #33-ში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოებისა და დაფუძნების პირობების გათვალისწინებით, ხიმინჯოვანი გამყოფი შპუნტური კედლის მოწყობის აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა საჭიროა დაახლოებით 7-8 მ-იან მონაკვეთში, იქ სადაც არსებულ და საპროექტო შენობებს შორის დაცილება 3,5 მ-ია, მოეწყოს ინექციური, არმირებული ხიმინჯები სასტუმროს შენობის საძირკვლის ზედაპირის დონიდან ძირითად ქანში მინიმუმ ერთი მეტრის ჩაანკერებით. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით, რაც შესაძლებელია შესრულდეს მშენებლობის გაგრძელებასთან ერთად პარალელურ რეჟიმში.

005794819

ექსპერტის დასკვნა № 005794819

ავთანდილ რომელაშვილი

გამოკვლევა

2019 წლის 16 აგვისტოს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში ბ. კვერნაძის (ყოფილი აკურის) ქ. #33-ში მიმდინარე მშენებლობასა და იმავე ქუჩის #31-ში არსებულ შენობას შორის გამყოფი ხიმინჯოვანი შპუნტური რიგის მოწყობის აუცილებლობის საკითხი.

ქ. თბილისში აკურის ქ. #31-ში მდებარე შვიდსართულიანი სასტუმროს შენობა, სარდაფით აშენებულია 2006-07 წლებში. დაახლოებით 2013 წელს იმავე ქუჩის #33-ში მდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობიდან დაახლოებით 70-150 სმ-ის დაშორებით ამოღებული იქნა 5,0-6,0 მ სიღრმის ქვაბული, რომლის ძირის ნიშნულიც დაახლოებით 2,0 მ-ით ჩაცდენილი იყო არსებული შენობის საძირკვლის ძირის ნიშნულიდან. ექსპერტიზის ბიუროს მიერ, 2014 წლის 20 თებერვალს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში აკურის ქ. #31-ში მდებარე შვიდსართულიანი სასტუმროს შენობისა და ალმასიანის ქ. #42-ში და #44-ში მდებარე ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლების ტექნიკური მდგომარეობა და მათზე სასტუმროს გვერდით ამოღებული ქვაბულის ზეგავლენის შესაძლებლობა და გაიცა დასკვნა # 000928014, რომელშიც ბ. კვერნაძის ქ. #31-ში არსებულ შენობასთან მიმართებაში აღნიშნულია, რომ „ქ. თბილისში აკურის ქ. #31-ში მდებარე სასტუმროს შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით განვითარებული დაზიანებები შეესაბამება I ხარისხს. თუ სასტუმროს შენობასა და ქვაბულს შორის დაუყოვნებლივ არ მოეწყობა დამცავი, გამყოფი შპუნტური კედელი მოსალოდნელია დაზიანების ხარისხის გაზრდა“.

დღევანდელი მდგომარეობით, ბ. კვერნაძის ქ. #33-ში, იმავე ქუჩის #31-ში არსებული სასტუმროს შენობის მხარეს, დამკვეთის ინფორმაციით 13 სართულიანი შენობისათვის მოწყობილია 135 სმ სიმაღლის საძირკვლის ფილა, რომელიც დაფუძნებულია ძირითად ქანებზე. ორი სართულის სიმაღლეზე ამოყვანილია 50 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის კედელი, მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილა და აღნიშნული მხრიდან ადგილობრივი, ნაყარი გრუნტით შევსებულია ქვაბული (ფოტო 1, 2, 3). დაგეგმილი მშენებლობის პროექტის კონსტრუქციული და გეოლოგიური ნაწილები ექსპერტიზაზე არ არის წარმოდგენილი. თუ მშენებარე შენობის საძირკვლები დაფუძნებულია ძირითად ქანებზე, ამ შემთხვევაში მომიჯნავე სასტუმროს შენობაზე ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის და გამყოფი ხიმინჯოვანი შპუნტური კედლის მოწყობის აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა არსებული სასტუმროს შენობის საძირკვლები არ არის დაფუძნებული ძირითად ქანებზე და საძირკვლების ნიშნულთა დონეთა სხვაობა შეადგენს დაახლოებით 2,0 მ-ს და არსებობს თეორიული საფრთხე არსებული შენობის საძირკვლების ქვეშ ქვაბულის მხარეს ფუძე გრუნტების გვერდითი გაფართოებისა, რაზეც მიუთითებდა დაზიანებები, რომლებიც დაფიქსირებულია 2014 წელს ჩატარებული ვიზუალური კვლევის დროს, ამიტომ საჭიროა რომ დაახლოებით 7-8 მ-იან მონაკვეთში, იქ სადაც არსებულ და საპროექტო შენობებს შორის დაცილება 3,5 მ-ია, მოეწყოს ინექციური არმირებული ხიმინჯები სასტუმროს შენობის საძირკვლის ზედაპირის დონიდან ძირითად ქანში მინიმუმ ერთი მეტრის ჩაანკერებით. სამუშაოები უნდა ჩატარდეს შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვაბულის მთელ პერიმეტრზე სამშენებლო ნორმების თანახმად СНиП III-4-80, პუნქტი 9.9 და 9.10-ის მოთხოვნების მიხედვით ქვაბულის ფერდები უნდა იყოს გაძლიერებული.

ამრიგად, ქ. თბილისში, ბ. კვერნაძის ქ. #33-ში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოებისა და დაფუძნების პირობების გათვალისწინებით, ხიმინჯოვანი გამყოფი შპუნტური კედლის მოწყობის აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა საჭიროა დაახლოებით 7-8 მ-იან მონაკვეთში, იქ სადაც არსებულ და საპროექტო შენობებს შორის დაცილება 3,5 მ-ია, მოეწყოს ინექციური, არმირებული ხიმინჯები სასტუმროს შენობის საძირკვლის ზედაპირის დონიდან ძირითად ქანში მინიმუმ ერთი მეტრის ჩაანკერებით. აღნიშნული სამუშაოები უნდა ჩატარდეს შესაბამისად დამუშავებული პროექტის მიხედვით რაც შესაძლებელია შესრულდეს მშენებლობის გაგრძელებასთან ერთად პარალელურ რეჟიმში.

ავთანდილ რომელაშვილი

გამოყენებული მასალები

005794819

ექსპერტის დასკვნა № 005794819

1. СП-13-102-2003

2. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

3. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

4. ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა #000928014

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე ატიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით ჰეჯონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს ღონ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების საკვალიფიკაციო ტესტირებაში.

ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტებისთვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს ურთიერთობები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს ჯგუფის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს ჰიდროლოგიური მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

INFO@EXPERTIZA. GOV.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზირი №84
84 Chavchavadze ave. Tbilisi 0162
ქუთაისი 4600, ჭავჭავაძის ქ. №2ა
Chavchavadze str #2a Kutaisi 4600
ბათუმი 6000, მელიქიშვილის ქ. №102

(995 32) 225 84 84
info@expertiza.gov.ge

საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე ,,ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №33 და ალმასიანის ქ. №40,42,44-46-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთ №035/036-ის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევა“.

ჩვენს მიერ 2016 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №33 და ალმასიანის ქ. №40,42,44-46-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთ №035/036-ზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №33 და ალმასიანის ქ. №40,42,44-46-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთ №035/036-ზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ,,საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური კვლევების განყოფილების მიერ 2007 წლის აგვისტოში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი გ. ზაგაშვილი. მათ ლაბორატორიაშია ჩატარებული გრუნტების თვისებათა ლაბორატორიული გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 6გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა ---------- 1გვ.
4. ცხრილი კლდოვანი ქანების სიმტკიცეზე---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 5გვ.

6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც

7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 1ფურც

8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 1ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე 24 მეტრს შეადგენს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – კენჭნარი კაჭარის ჩანართებით
3. ფენა – 3 – გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა
4. ფენა – 4 – სუსტად გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვინაიდან შენობა არის იატაკქვეშა ორი სართულით, ნაყარი გრუნტი და კენჭნარი ქვაბულის ამოღებისას იხსნება და ამიტომ კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ძირითადი ქანები, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. ისინი სიმტკიცის თვალსაზრისით წარმოდგენილია ორ საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტად. ანგარიშში მოცემულია ორივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის დახასიათება. მომავალი შენობის ქვაბულის გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილია სამი ჭაბურღილი №5, 6 და 7.

დადგენილია ლაბორატორიული გამოკვლევებით ძირითადი ქანების თვისებები, მოცემულია მათი სიმტკიცისა და დეფორმაციის მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 3.1-5.2მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №33 და ალმასიანის ქ. №40,42,44-46-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთ №035/036-ზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV - ჯობოწელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჯობოწელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით



დიპლომი

ЯІ № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა იდიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი.ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
ქიმიური ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ.
„ 30 " ივნისის გადაწყვეტილებით
გ. ჭოხონელიძეს მიენიჭა
ჰიდროგეოლოგის ინჟინერ-
კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
ქალაქი თბილისი 1972 წ. „ 2 " აგვისტო
სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Цохонелидзе Гури Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

Georgian Technical
Uviversity

BUILDING
FACULTY

Phone: (995 32) 33 17 87
36 61 01; 36 65 42
Fax: (99532) 33 17 87

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 68;
68, Kostava str., Tbilisi, Geo[illegible]0175

№ 22. 09 2018წ.

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ამხანაგობა „აკურის №27-29-33 და ალმასიანის №344-40-42-46“-ში ხელმძღვანელობის მომართვის საფუძველზე ჩვენ მიერ დათვალიერებული იქნა ზემოალნიშნულ მისამართზე მშენებარე სახლი, რის შემდეგაც მივედით შემდეგ

დასკვნამდე:

ამხანაგობა აკურის №27,29,33 ალმასიანის №34,40,42,46“-ის მიერ შეთანხმებულ პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.13.035.031) 23-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას (ქ. თბილისის არქიტექტურა, ბრძანება №ნ/3138.05.10.2011 წ.) ნაწარმოებია მშენებლობა.

ადგილზე დათვალიერებით **დავადგინეთ, რომ დღეს მდგომარეობით ნაწარმოებია საპროექტო ობიექტის ორი მიწისქვეშა სართულის ნაწილის** მშენებლობა, კერძოდ, გათხრილია ქვაბული და მოწყობილია მიწისქვეშა სართული, რომელიც წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ერთიან ნაგებობას.

საპროექტო ობიექტის მომიჯნავე ნაკვეთზე, აკურის ქ. №31-ში არსებული შენობის ფუძე-საძირკველსა და მშენებარე ობიექტის შენობის კედელთან უახლოესი მანძილი შეადგენს 3.5 მეტრს, ნაწარმოები მშენებლობის ფუნდამენტი წარმოადგენს პროექტით გათვალისწინებულ მონოლითურ ფილას (h=1.35 მ-ს), რომელიც დაფუძნებულია პროექტით გათვალისწინებულ ძირითად ქანებზე, სუსტად გამოფიტული არგელიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობაზე, რომელიც მშენებარე ობიექტის საპროექტო დატვირთვების გათვალისწინებით პრაქტიკულად წარმოადგენს უკუმშვად გრუნტს და მათ მიერ გადაცემული დატვირთვა არავითარ ზეგავლენას არ იქონიებს მეზობელი შენობის, აკურის ქ. №31 სახლის მდგრადობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მშენებარე ობიექტსა და არსებულ ობიექტს შორის უახლოესი დაშორების მანძილი (3.5 მ), ფუნდამენტის დაფუძნების გრუნტის საანგარიშო მახასიათებლები და ის გარემოება, რომ კორექტირებული პროექტი ითვალისწინებს საპროექტო ობიექტის სართულიანობის შემცირებას 13 სართულამდე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დატვირთვებს და მათ შედეგად წარმოქმნილი განივი და ვერტიკალური ძალების მაჩვენებლებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაწარმოები მშენებლობა და ასევე საპროექტო შენობა არ იქონიებს მომიჯნავე შენობაზე უარყოფით გავლენას და უზრუნველყოფს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექ. მეც. დოქტ. პროფესორი გ. ჭოხონელიძე